

## აუდიტორული დასკვნა

სს „საბროკერო კომპანია კაუკასუს კაპიტალ ჯგუფი“

ა(ა)იპ საქართველოს ეროვნულ ბანკს

### შესავალი

შპს „ნექსია თიეი“-სა და სს „საბროკერო კომპანია კაუკასუს კაპიტალ ჯგუფს“ შორის 2018 წლის 16 თებერვალს გაფორმებული ხელშეკრულების (შემდგომში “კონტრაქტი”) შესაბამისად, შპს „ნექსია თიეი“-მ იკისრა იმის დადასტურება, რომ სს „საბროკერო კომპანია კაუკასუს კაპიტალ ჯგუფი“ (შემდგომში „კომპანია“) აკმაყოფილებს ა(ა)იპ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 5 ივლისის №145/04 ბრძანების მე-9 მუხლის პირველ, მე-2, მე-3, მე-4 და მე-5 პუნქტების მოთხოვნებს (დანართი 1) და რომ კომპანიას უზრუნველყოფილი აქვს საკუთარი კლიენტების სახსრებისა და ფინანსური ინსტრუმენტების რეკონსილაციის ანგარიშგება ფინანსური ანგარიშგების თარიღისთვის.

ჩვენ მომსახურება შევასრულეთ მარწმუნებელი გარიგების საერთაშორისო სტანდარტი 3000-ის მიხედვით („მგსს 3000“).

### *მხარეთა პასუხისმგებლობები*

სს „საბროკერო კომპანია კაუკასუს კაპიტალ ჯგუფი“ პასუხისმგებელია ზემოაღნიშნული, შესრულებული მოთხოვნების შესახებ ინფორმაციის/დოკუმენტაციის მოწოდებაზე, ხოლო ჩვენ პასუხისმგებლები ვართ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე დამოუკიდებელი დასკვნის გამოტანაზე.

### *შესრულებული სამუშაო და გამოყენებული კრიტერიუმები*

#### **ჩვენ ჩავატარეთ შემდეგი პროცედურები:**

- მოვიპოვეთ და შევამოწმეთ კომპანიის როგორც საკუთარი, ასევე კლიენტების სახსრებისა და ფინანსური ინსტრუმენტების მოძრაობის სააღრიცხვო შიდა ჩანაწერები;
- საქართველოს ეროვნული ბანკის საიტიდან მოვიპოვეთ ინფორმაცია იმ ბანკების ლიცენზირების შესახებ, რომლებშიც კომპანიას გახსნილი აქვს ნომინალური მფლობელობის ანგარიშები;
- ბანკებიდან გამოვითხოვეთ ნომინალური მფლობელობის ანგარიშებზე ფინანსური სახსრების მოძრაობის ამონაწერები ხელმოწერილი ფორმით და შემთხვევითი შერჩევის მეთოდის გამოყენებით მოვიპოვეთ რწმუნება, რომ კომპანიას კლიენტების ფულადი სახსრები განთავსებული აქვს საკუთარი სახსრებისაგან განცალკევებით;

- კომპანიის მიერ თავისი კლიენტების მომსახურებისთვის გამოყენებული ფინანსური ინსტრუმენტების სავაჭრო პლატფორმიდან ამოვიღეთ კომპანიის ყველა კლიენტის სია, საიდანაც ასევე შემთხვევითი შერჩევის მეთოდის გამოყენებით შევისწავლეთ მათთან გაფორმებული ხელშეკრულებები და კომპანიის საბანკო ნომინალურ ანგარიშებზე სახელშეკრულებო თანხების მოძრაობა.
- მესამე პირისგან, რომელთანაც განთავსებულია სს „საბროკერო კომპანია კაუკასუს კაპიტალ ჯგუფის“ კლიენტების ფინანსური ინსტრუმენტები, ჩვენ გამოვითხოვეთ და შევისწავლეთ შიდა ჩანაწერები ხსენებული ფინანსური ინსტრუმენტების და ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ.
- ფინანსური ანგარიშგების დღისთვის, კომპანიისგან გამოვითხოვეთ რეკონსილაციის შიდა ჩანაწერები თანდართული ბანკის ამონაწერით.

### **დასკვნა:**

ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, ვასკვნიტ, რომ სს „საბროკერო კომპანია კაუკასუს კაპიტალ ჯგუფს“ შესრულებული აქვს ა(ა)იპ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 5 ივლისის ბრძანების (№145/04) მე-9 მუხლის პირველი, მე-2, მე-3, მე-4 და მე-5 პუნქტების მოთხოვნები (დანართი 1) და ფინანსური ანგარიშგების თარიღისთვის საკუთარი კლიენტების სახსრებისა და ფინანსური ინსტრუმენტების რეკონსილაციის ვალდებულება.

„ნექსია თიბი“

მ.უჯმაჯურიძე

## დანართი 1

ამონარიდი ა(ა)იპ საქართველოს ბანკის 2018 წლის 5 ივლისის ბრძანების (№145/04) მე-9 მუხლიდან:

1. საბროკერო კომპანიამ უნდა უზრუნველყოს შიდა ჩანაწერებში, ბუღალტრულ პროგრამასა და, არსებობის შემთხვევაში, სავაჭრო პლატფორმაზე კლიენტების სახსრებისა და ფინანსური ინსტრუმენტების ერთმანეთისგან და საკუთარი სახსრებისგან გამიჯვნა.
2. საბროკერო კომპანია ვალდებულია კლიენტების ფულადი სახსრები განათავსოს საკუთარი სახსრებისაგან განცალკევებით ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებულ კომერციულ ბანკში, საბროკერო კომპანიასა თუ ცენტრალურ დეპოზიტარში ან განვითარებულ ქვეყნებში ლიცენზირებულ ფინანსურ ინსტიტუტში გახსნილ ნომინალური მფლობელობის ანგარიშებზე. დაუშვებელია ამ ანგარიშებზე კლიენტების ფულადი სახსრების გარდა სხვა ფულადი სახსრების განთავსება
3. საბროკერო კომპანიამ უნდა უზრუნველყოს, რომ მის მიერ მესამე პირთან განთავსებული კლიენტის კუთვნილი ფინანსური ინსტრუმენტები გამიჯნული იყოს ამ მესამე პირის, საბროკერო კომპანიისა და მესამე პირის სხვა კლიენტის აქტივებისგან.
4. კლიენტების სახსრების განკარგვა უნდა ხდებოდეს მხოლოდ კლიენტთან დადებული ხელშეკრულების და/ან კლიენტების დავალებების პირობების შესაბამისად და არ უნდა მოხდეს მისი გამოყენება საბროკერო კომპანიის ან სხვა მესამე პირის საოპერაციო ან/და სხვა საქმიანობის დასაფინანსებლად.
5. საბროკერო კომპანია ვალდებულია კლიენტის კუთვნილი ფინანსური ინსტრუმენტები არ გამოიყენოს საკუთარი ან ნებისმიერი სხვა პირის მიზნებისთვის, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც არსებობს მხარეებს შორის ხელშეკრულება ან კლიენტის დავალება ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებაზე შესაბამისი განსაზღვრული პირობებით.

**სს „საბროკერო კომპანია კაუკასუს კაპიტალ ჯგუფი“**  
ფინანსური ანგარიშგება და  
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

## სს „საბროკერო კომპანია კაუკასუს კაპიტალ ჯგუფი“

### შინაარსი

---

|   |     |
|---|-----|
| დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა   | 1-2 |
| ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება  | 3   |
| მოგების ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება                            | 4   |
| კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება   | 5   |
| ფულადი ნაკადების ანგარიშგება  | 6   |
| 1. შესავალი   | 8   |
| 2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა, მომზადების საფუძველი და ახალი სტანდარტები | 9   |
| 3. მნიშვნელოვანი ბუღალტრული გადაწყვეტილებები, შეფასებები და ვარაუდები           | 16  |
| 4. IASB-ს მიერ გამოცემული ახალი ან რედაქტირებული სტანდარტები და განმარტებები    | 17  |
| 5. ფულადი საშუალებები და მათი ექვივალენტები                                     | 19  |
| 6. მოკლევადიანი ინვესტიციები  | 19  |
| მოკლევადიანი ინვესტიციები   | 19  |
| 7. დებიტორული დავალიანება   | 19  |
| 8. ძირითადი საშუალებები   | 20  |
| 9. არამატერიალური აქტივები  | 20  |
| 10. გრძელვადიანი ინვესტიციები   | 21  |
| 11. კრედიტორული დავალიანება   | 21  |
| 12. ვალდებულებები მოკლე პოზიციიდან  | 21  |
| 13. კაპიტალი  | 21  |
| 14. საკომისიო შემოსავლები და ხარჯები  | 21  |
| 15. სხვა საოპერაციო შემოსავლები   | 22  |
| 16. კურსთაშორისი მოგება/ზარალი  | 22  |
| 17. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები   | 22  |
| 18. სხვა ხარჯები  | 22  |
| 19. ფინანსური რისკის მართვა   | 23  |
| 20. კაპიტალის უკმარისობის რისკის მართვა   | 25  |
| 21. დაკავშირებული მხარე   | 26  |
| 22. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები                            | 26  |
| 23. კორექტირება   | 27  |
| 24. ინფორმაცია კლიენტების რაოდენობასა და ტრანზაქციების მოცულობაზე               | 27  |

## **დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა**

*„საბროკერო კომპანია კაუკასუს კაპიტალ ჯგუფი“-ს მფლობელებსა და მენეჯმენტს*

### **ფინანსური ანგარიშგების დასკვნა**

#### **მოსაზრება**

ჩავატარეთ სს „საბროკერო კომპანია კაუკასუს კაპიტალ ჯგუფი“-ს (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (ფასს).

#### **მოსაზრების საფუძვლები**

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (IAS) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები აღწერილია ჩვენი დასკვნის „*აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე*“ ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელნი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) „*პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის*“ ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს, გარდა ამისა, შევასრულეთ ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები, საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

#### **არსებითი ეჭვი ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებასთან დაკავშირებით**

ჩვენ გვინდა ყურადღება გავამახვილოთ, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნა 2-ზე, რომელიც მიუთითებს რომ კომპანიის ზარალმა 2018 წლის განმავლობაში შეადგინა 69,072 ლარი. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯამურმა კაპიტალმა შეადგინა 470,021 ლარი. ეს მდგომარეობა მიგვითითებს რომ არსებობს მნიშვნელოვანი გარემოებები რომლებიც ეჭვქვეშ აყენებს კომპანიის როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს არსებობას. ჩვენი მოსაზრება არ არის მოდიფიცირებული ამ საკითხთან მიმართებაში

## **ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე**

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასა და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

## **აუდიტორის პასუხისმგებლობები ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე**

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტი, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული

უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავეგემოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

აუდიტის შემოწმების ხელმძღვანელი, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტის დასკვნა არის მალხაზ უჯმაჯურიძე.

შპს ნექსია თიეი-ს სახელით

თბილისი, საქართველო  
29 მარტი, 2019



სს საბროკერო კომპანია კაუკასუს კაპიტალ ჯგუფი  
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება  
 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
 (ქართულ ლარში)

| ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება   | შენიშვნა | 31 დეკემბერი<br>2018 | 31 დეკემბერი<br>2017 |
|--------------------------------------|----------|----------------------|----------------------|
| <b>გრძელვადიანი აქტივები</b>         |          |                      |                      |
| ძირითადი საშუალებები, წმინდა         | 8        | 8,508                | 10,224               |
| არამატერიალური აქტივები, წმინდა      | 9        | 2,081                | 2,127                |
| გრძელვადიანი ინვესტიციები            | 10       | 392,958              | 416,177              |
| <b>სულ გრძელვადიანი აქტივები</b>     |          | <b>403,547</b>       | <b>428,528</b>       |
| <b>მიმდინარე აქტივები</b>            |          |                      |                      |
| დებიტორული დავალიანება               | 7        | 9,570                | 68,016               |
| წინასწარ გაწეული ხარჯები             |          | 21,629               | 1,876                |
| საგადასახადო აქტივი, წმინდა          |          | 241                  | 146                  |
| მოკლევადიანი ინვესტიციები            | 6        | 29,841               | 78,386               |
| ფული და ფულის ექვივალენტები          | 5        | 40,747               | 22,672               |
| <b>სულ მიმდინარე აქტივები</b>        |          | <b>102,028</b>       | <b>171,096</b>       |
| <b>სულ აქტივები</b>                  |          | <b>505,575</b>       | <b>599,624</b>       |
| <b>კაპიტალი და ვალდებულებები</b>     |          |                      |                      |
| <b>კაპიტალი</b>                      |          |                      |                      |
| სააქციო კაპიტალი                     |          | 370,000              | 368,560              |
| გაუნაწილებელი მოგება                 |          | 100,021              | 169,093              |
| <b>სულ კაპიტალი</b>                  |          | <b>470,021</b>       | <b>537,653</b>       |
| <b>მიმდინარე ვალდებულებები</b>       |          |                      |                      |
| კრედიტორული დავალიანება              | 11       | 24,644               | 47,481               |
| ვალდებულებები მოკლე პოზიციიდან       | 12       | 10,807               | 14,387               |
| მოკლევადიანი სესხები                 |          | 103                  | 103                  |
| <b>სულ მიმდინარე ვალდებულებები</b>   |          | <b>35,554</b>        | <b>61,971</b>        |
| <b>სულ ვალდებულებები</b>             |          | <b>35,554</b>        | <b>61,971</b>        |
| <b>სულ კაპიტალი და ვალდებულებები</b> |          | <b>505,575</b>       | <b>599,624</b>       |

მენეჯმენტის სახელით:

გენერალური დირექტორი  
 29 მარტი, 2019  
 თბილისი, საქართველო

მთავარი ბუღალტერი  
 29 მარტი, 2019  
 თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 10-29 წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 3-5.

სს საბროკერო კომპანია კაუკასუს კაპიტალ ჯგუფი  
 სრული შემოსავლების ანგარიშგება  
 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის  
 (ქართულ ლარში)

| სრული შემოსავლების ანგარიშგება              | შენიშვნა | 2018            | 2017            |
|---|----------|-----------------|-----------------|
| საკომისიო შემოსავალი                        | 14       | 56,260          | 45,068          |
| საკომისიო ხარჯი                             | 14       | (62,137)        | (59,394)        |
| <b>წმინდა საკომისიო ხარჯი</b>               |          | <b>(5,877)</b>  | <b>(14,326)</b> |
| სხვა საშუაშედი შემოსავალი                   |          | 1,409           | 3,324           |
| სხვა საოპერაციო შემოსავალი                  | 15       | 7,718           | 38,747          |
| კურსთაშორის სხვაობის წმინდა ზარალი          | 16       | (1,270)         | (4,240)         |
| ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები           | 17       | (41,806)        | (35,559)        |
| სხვა ხარჯები                                | 18       | (28,988)        | (22,534)        |
| <b>ზარალი დაბეგვრამდე</b>                   |          | <b>(68,814)</b> | <b>(34,588)</b> |
| მოგების გადასახადი                          |          | (258)           | (182)           |
| <b>წლის ზარალი</b>                          |          | <b>(69,072)</b> | <b>(34,770)</b> |
| სხვა სრული შემოსავალი                       |          | -               | -               |
| <b>სხვა სრული ხარჯები წლის განმავლობაში</b> |          | <b>(69,072)</b> | <b>(34,770)</b> |
| <b>სულ სრული ზარალი წლის განმავლობაში</b>   |          | <b>(69,072)</b> | <b>(34,770)</b> |

მენეჯმენტის სახელით:

გენერალური დირექტორი  
 29 მარტი, 2019  
 თბილისი, საქართველო

მთავარი ბუღალტერი  
 29 მარტი, 2019  
 თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 10-29 წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტის ანგარიში მოცემულია გვერდებზე 3-5.

სს საბროკერო კომპანია კაუკასუს კაპიტალ ჯგუფი  
 კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება  
 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის  
 (ქართულ ლარში)

|                                      | საწესდებო<br>კაპიტალი | გაუნაწილებელი<br>მოგება | სულ<br>კაპიტალი |
|--------------------------------------|-----------------------|-------------------------|-----------------|
| <b>ბალანსი 1 იანვარი 2017</b>        | <b>338,560</b>        | <b>203,863</b>          | <b>542,423</b>  |
| პერიოდის ზარალი                      | -                     | (34,770)                | (34,770)        |
| მოთხოვნა სააქციო კაპიტალის შევსებაზე | 30,000                | -                       | 30,000          |
| <b>ბალანსი 31 დეკემბერი 2017</b>     | <b>368,560</b>        | <b>169,093</b>          | <b>537,653</b>  |
| კაპიტალის შევსება                    | 1,440                 | -                       | 1,440           |
| პერიოდის ზარალი                      | -                     | (69,072)                | (69,072)        |
| <b>ბალანსი 31 დეკემბერი 2018</b>     | <b>370,000</b>        | <b>100,021</b>          | <b>470,021</b>  |

მენეჯმენტის სახელით:

გენერალური დირექტორი

29 მარტი, 2019  
 თბილისი, საქართველო

მთავარი ბუღალტერი

29 მარტი, 2019  
 თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 10-29 წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტის ანგარიში მოცემულია გვერდებზე 3-5.

სს საბროკერო კომპანია კაუკასუს კაპიტალ ჯგუფი  
 ფულადი ნაკადების ანგარიშგება  
 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის  
 (ქართულ ლარში)

|  | რეკლასიფიცირებული* |                 |
|--|--------------------|-----------------|
|  | 2018               | 2017            |
| <b>ფულადი ნაკადების ანგარიშგება</b>                                  |                    |                 |
| <b>წლის ზარალი დაბეგრამდე:</b>                                       | <b>(68,814)</b>    | <b>(34,770)</b> |
| კორექტირებები:   |                    |                 |
| ცვეთა და ამორტიზაცია   | 3,481              | 2,601           |
| სხვა შემოსავალი/(ხარჯი)  | 21,270             | (16,213)        |
| ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან  | 1,270              | 4,240           |
| <b>ცვლილება მიმდინარე აქტივებსა და ვალდებულებებში:</b>               |                    |                 |
| საგადასახადო აქტივის ზრდა  | (95)               | (99)            |
| ცვლილება დებიტორული დავალიანების                                     | (1,554)            | 3,765           |
| ცვლილება წინასწარ გაწეული ხარჯების                                   | (19,753)           | (826)           |
| კრედიტორული დავალიანების ზრდა  | (22,837)           | 1,974           |
| <b>საოპერაციო საქმიანობით გენერირებული ფულადი სახსრები</b>           | <b>(87,032)</b>    | <b>(39,328)</b> |
| მიღებული პროცენტი  | -                  | -               |
| გადახდილი პროცენტი   | -                  | -               |
| <b>საოპერაციო საქმიანობით გენერირებული წმინდა ფულადი სახსრები</b>    | <b>(87,032)</b>    | <b>(39,328)</b> |
| <b>ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან</b>                    |                    |                 |
| მოკლევადიანი ინვესტიციები  | 47,822             | 709             |
| ძირითადი საშუალებების ყიდვა  | (1,718)            | (7,946)         |
| აქციების რეალიზაციით მიღებული შემოსავალი                             | (3,740)            | 14,355          |
| მიღებული დივიდენდი   | 272                | 2,800           |
| <b>საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები</b> | <b>42,636</b>      | <b>9,918</b>    |
| კაპიტალის შევსება  | 61,440             | -               |
| <b>საფინანსო საქმიანობით გენერირებული წმინდა ფულადი სახსრები</b>     | <b>61,440</b>      | <b>-</b>        |
| <b>1 იანვრის მდგომარეობით</b>  | <b>22,672</b>      | <b>48,365</b>   |
| <b>წმინდა ზრდა წლის განმავლობაში</b>                                 | <b>17,044</b>      | <b>(29,410)</b> |
| კურსთაშორის სხვაობის გავლენა ფულსა და ფულის ექვივალენტებზე           | 1,031              | 3,717           |
| <b>31 დეკემბრის მდგომარეობით</b>                                     | <b>40,747</b>      | <b>22,672</b>   |

\* ზოგიერთი ნაჩვენები თანხა არ შეესაბამება 2017 წლის ფინანსურ ანგარიშგებას და ასახულია რეკლასიფიკაციების შემდეგ. (შენიშვნა 23)

მენეჯმენტის სახელით:

გენერალური დირექტორი  
 29 მარტი, 2019  
 თბილისი, საქართველო

მთავარი ბუღალტერი  
 29 მარტი, 2019  
 თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 10-29 წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 3-5.

## 1. შესავალი

### *ზოგადი ინფორმაცია*

სს საბროკერო კომპანია კაუკასუს კაპიტალ ჯგუფის (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის ავტორიზებული იქნა გამოსაცემად დირექტორის 2019 წლის 29 მარტის გადაწყვეტილებით.

კომპანია დაფუძნებულია 2006 წლის 13 იანვარს და ფუნქციონირებს საქართველოში საქართველოს კანონმდებლობის და დებულებების შესაბამისად. კომპანიის იურიდიული მისამართია - ჭავჭავაძის გამზირი N74ა, თბილისი, საქართველო.

კომპანიის გაცხადებული კაპიტალი არის 400,000 ლარი. კომპანიის აქციონერები არიან გიორგი ლოლაძე (90.37%) და ნიკოლოზ ლოლაძე (9.63%).

კომპანია წარმოადგენს ფასიანი ქაღალდების ბაზარზე მოქმედ საბროკერო კომპანიას, რომელიც ლიცენზირებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ (საბროკერო საქმიანობის ლიცენზია #20047, გაცემული 2006 წლის 2 მაისს). კომპანია ახორციელებს საბროკერო მომსახურებას.

### *საანგარიშგებო ვალუტა*

კომპანიის საანგარიშგებო ვალუტა არის - ქართული ლარი (GEL). გარიგებები უცხოურ ვალუტაში თავდაპირველად აღირიცხება ოფიციალურ ვალუტაში გარიგების დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი მიმდინარე კურსით. ფულადი საშუალებები უცხოურ ვალუტაში ანგარიშგების დღისათვის კონვერტირდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი საანგარიშო დღის სავალუტო კურსით. კურსის ყველა სხვაობა, რომელიც წარმოიშობა ანგარიშსწორებისას, ჩაითვლება მოგებაში ან ზარალში.

უცხოური ვალუტის ფულადი ნაშთის კონვერტაციისათვის გამოყენებული ძირითადი გაცვლითი კურსი არის შემდეგი:

|           | 31 დეკემბერი, 2018 | 31 დეკემბერი, 2017 |
|-----------|--------------------|--------------------|
| 1 USD/GEL | 2.6766             | 2.5922             |
| 1 EUR/GEL | 3.0701             | 3.1044             |
| 1 GBP/GEL | 3.3955             | 3.5005             |
| 1 CAD/GEL | 1.9674             | 2.0683             |

## 2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა, მომზადების საფუძველი და ახალი სტანდარტები

### მომზადების საფუძველები

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საერთაშორისო ბუღალტრული სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულებით აღრიცხვის წესით, გარდა ინვესტიციებისა, რომელებიც აღიარდება სამართლიანი ღირებულებით. ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში და დამრგვალებულია უახლოეს ერთეულამდე, თუ სხვა რამე არ არის მითითებული.

### ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის პრინციპის გათვალისწინებით, რომელიც გულისხმობს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების შესრულებას საქმიანობის ჩვეულებრივი მიმდინარეობის დროს.

კომპანიის 2018 წლის წმინდა ზარალმა შეადგინა 69,072 ლარი (2017: 34,771 ლარი). შედეგად, კომპანიის კაპიტალმა 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგინა 470,021 ლარი. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება #145/04-ის მიხედვით კომპანიის კაპიტალის მინიმალური ოდენობა განსაზღვრულია 500,000 ლარით. აღნიშნულიდან გამომდინარე კომპანია ვალდებულია ეროვნულ ბანკს წარუდგინოს არსებული მდგომარეობის გამოსასწორებლად მიღებული და/ან მისაღები ღონისძიებების გეგმა-გრაფიკი.

კომპანიის საკონტროლო პაკეტის მფლობელმა, გიორგი ლოლაძემ, საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ, 2019 წლის თებერვალი-მარტის პერიოდში მოახდინა მის მიერ 2018 წელს შესყიდული კომპანიის აქციების ღირებულების სრულად დაფარვა ჯამური თანხით 32,880 ლარი (შენიშვნა 22). შედეგად კომპანიის საწესდებო კაპიტალი გაიზარდა 400,000 ლარამდე, საემისიო კაპიტალი - 2,880 ლარამდე და ჯამურმა კაპიტალმა გადააჭარბა 500,000 ლარს.

ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ზემოაღნიშნული ქმედებების კომბინაცია კომპანიისთვის უზრუნველყოფს აუცილებელ ლიკვიდურობას, თავისი ოპერაციების გასაგრძელებლად 2018 წლის შემდგომ პერიოდშიც.

### ფინანსური ინსტრუმენტები - პირველადი აღიარება და შემდგომი შეფასება

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი კონტრაქტი, რომელიც წარმოშობს ფინანსურ აქტივს ერთი კომპანიისთვის და ფინანსურ ვალდებულებას ან კაპიტალის ინსტრუმენტს მეორე კომპანიისთვის.

## ფინანსური აქტივი

### *პირველადი აღიარება და შემდგომი შეფასება*

ფინანსური აქტივები თავდაპირველად და შემდგომში აღიარდება ამორტიზირებული ღირებულებით, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით და სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით.

ფინანსური აქტივის კლასიფიკაცია თავდაპირველი აღიარებისას დამოკიდებულია ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე და კომპანიის ბიზნეს მოდელზე, რომელსაც გამოიყენებს მათ სამართავად. გამონაკლისია სავაჭრო მოთხოვნები, რომელიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც კომპანიამ გამოიყენა პრაქტიკული მიზანშეწონილობა. თავდაპირველად, კომპანია სამართლიანი ღირებულებით აფასებს ფინანსურ აქტივს, იმ შემთხვევაში თუ ფინანსური აქტივი არ აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით, გარიგების თვითღირებულებით.

სავაჭრო მოთხოვნები რომელიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც კომპანიამ გამოიყენა პრაქტიკული მიზანშეწონილობა, აღირიცხება გარიგების ღირებულებით, ფასს 15-ის შესაბამისად.

იმისათვის რომ ფინანსური აქტივი კლასიფიცირდეს და შეფასდეს ამორტიზირებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით, მან უნდა წარმოშვას ფულადი ნაკადები, რომელიც დაკავშირებული იქნება „მხოლოდ ძირის და პროცენტის გადახდებთან“ (SPPI) ნარჩენ ძირ თანხაზე. აღნიშნული შეფასება მოიხსენიება როგორც SPPI ტესტი და ხორციელდება ინსტრუმენტის დონეზე.

ფინანსური აქტივების მართვის ბიზნეს მოდელი დაკავშირებულია იმასთან თუ როგორ ახდენს კომპანია ფინანსური აქტივების მართვას ფულადი ნაკადების დასაგენერირებლად. ბიზნეს მოდელი განსაზღვრავს, როგორ ხდება ფულადი ნაკადების შემოდინება, იქნება ეს სახელშეკრულებო პირობების მიხედვით, ფინანსური აქტივის გაყიდვით, თუ ორივე ერთად. ფინანსური აქტივის ყიდვა ან გაყიდვა, რაც მოითხოვს აქტივის მიწოდებას მოქმედი რეგულაციით ან ბაზარზე არსებული კონვენციით განსაზღვრულ ვადებში, აღიარდება ვაჭრობის თარიღით, რომელიც წარმოადგენს იმ თარიღს, როდესაც კომპანია ვალდებულებას იღებს, რომ შეიძენს ან გაასხვისებს აქტივს.

### *შემდგომი აღიარება*

შემდგომი აღიარების მიზნებისთვის, ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება ოთხ კატეგორიად:

- ფინანსური აქტივები ამორტიზირებული ღირებულებით (სასესხო ინსტრუმენტები)
- ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით, ჯამური მოგების ან ზარალის გადახურვით, სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით. (სასესხო ინსტრუმენტები)
- ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით, ჯამური მოგების ან ზარალის გადახურვის გარეშე, სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით (კაპიტალის ინსტრუმენტები)
- ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით, მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით.

**ფინანსური აქტივები ამორტიზირებული ღირებულებით (სასესხო ინსტრუმენტები)**

კომპანია აღრიცხავს ფინანსურ აქტივებს ამორტიზირებული ღირებულებით, თუ ქვემოთ მოცემული ორივე პირობა სრულდება:

- კომპანია ფლობს ფინანსურ აქტივს ბიზნეს მოდელის შესაბამისად, რათა მოახდინოს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომელიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხის და პროცენტის გადახდებს არსებულ ძირითად თანხაზე.

ფინანსური აქტივები, რომლებიც აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, შემდგომში იზომება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით (EIR) და ექვემდებარება გაუფასურებას.

მოგება, ან ზარალი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც მოხდება აქტივის აღიარების შეწყვეტა, შეცვლა ან გაუფასურება. კომპანიის ფინანსური აქტივები, რომლებიც აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით მოიცავს სავაჭრო მოთხოვნებს.

სავაჭრო მოთხოვნები არის კლიენტებისგან მისაღები თანხები გაწეულ მომსახურებაზე და მიწოდებულ პროდუქციაზე საქმიანობის ჩვეულებრივ პირობებში. თუ თანხების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის განმავლობაში ან ნაკლებში, ისინი აღირიცხება, როგორც მიმდინარე აქტივები. სხვა შემთხვევაში აღირიცხება, როგორც გრძელვადიანი აქტივები.

**ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით, სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით (კაპიტალის ინსტრუმენტები)**

მოგება ან ზარალი ასეთი ფინანსური აქტივების სამართლიანი ღირებულებით შეფასებიდან არასდროს ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. დივიდენდები აღირიცხება როგორც სხვა შემოსავალი მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც კომპანია ხდება უფლებამოსილი მიიღოს თანხა. კაპიტალის ინსტრუმენტები სამართლიანი ღირებულებით, სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით არ ექვემდებარება გაუფასურებას. კომპანია ასეთად აკლასიფიცირებს არაკოტირებულ კაპიტალის ინსტრუმენტებს.

**ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა**

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) აღიარების შეწყვეტა (ანუ კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური საწყისი ანგარიშგებიდან ამოღება) ხდება შემდეგ შემთხვევებში:

- ამოიწურა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლებების მოქმედების ვადა; ან
- კომპანიამ დათმო აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის მიღებული თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; ან (ა) კომპანიამ გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) კომპანიამ არც გადასცა და არც



სს „საბროკერო კომპანია კაუკასუს კაპიტალ ჯგუფი“  
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები  
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

დაიტოვა აქტივებთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

**ფინანსური აქტივების გაუფასურება**

კომპანია აღიარებს რეზერვს მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგებზე (მსდ) ყველა საკრედიტო ინსტრუმენტზე, რომელიც არ აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით. მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები გამოიანგარიშება სხვაობით სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და სრულ ფულად ნაკადებს შორის, რასაც კომპანია ელოდება რომ მიიღებს, დადისკონტირებულს საწყისი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. მოსალოდნელი ფულადი ნაკადები ასევე მოიცავს ფულად შემოდინებებს გირაოში არსებული აქტივების რეალიზაციიდან ან სხვა საკრედიტო გაუმჯობესებებს, რაც წარმოადგენს სახელშეკრულებო პირობების განუყოფელ ნაწილს.

მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები აღიარდება ორ ეტაპად. საკრედიტო რისკებისთვის, რომელიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად არ გაზარდილა საკრედიტო რისკი, მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი აღიარდება მომდევნო 12 თვის განმავლობაში მოსალოდნელი მოვლენებისთვის, რამაც შეიძლება გამოიწვიოს საკრედიტო ხელშეკრულების შეწყვეტა. იმ საკრედიტო რისკზე, რომელიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა, სავალდებულოა დანაკარგის რეზერვის აღიარება, მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგზე, რომელიც მოსალოდნელია რისკის დარჩენილ სასიცოცხლო ვადაზე, გაუქმების ვადის მიუხედავად (მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის მთლიანი სასიცოცხლო ვადა).

სავაჭრო მოთხოვნებისთვის და სახელშეკრულებო აქტივებისთვის კომპანია იყენებს გამარტივებულ მიდგომას მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების გამოსათვლელად. შესაბამისად კომპანია არ ადევნებს თვალს საკრედიტო რისკის ცვლილებას, არამედ აღიარებს დანაკარგის რეზერვს მსდ-ს სასიცოცხლო ვადის მიხედვით ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის. კომპანიას შემუშავებული აქვს რეზერვის მატრიცა, რომელიც დაფუძნებულია მის ისტორიულ საკრედიტო დანაკარგის გამოცდილებაზე, მორგებული მის დებიტორებზე და ეკონომიკურ გარემოს სამომავლო ფაქტორებზე.

**ფინანსურ ვალდებულებები**

**თავდაპირველი აღიარება და შეფასება**

ფინანსური ვალდებულებები, თავდაპირველი აღიარებისას კლასიფიცირდება, როგორც ფინანსური ვალდებულებები სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის გავლით, სესხები, სავაჭრო ვალდებულებები, ან ჰეჯირების ინსტრუმენტებად განსაზღვრულ დერივატივად ეფექტურ ჰეჯში.

ყველა ფინანსური ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, ხოლო სესხის და ვალდებულებების შემთხვევაში პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯების გამოკლებით.

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს და სესხებს საბანკო ოვერდრაფტის ჩათვლით.

### **შემდგომი შეფასება**

ფინანსური ვალდებულებების შეფასება დამოკიდებულია მათ კლასიფიკაციაზე, როგორც აღწერილია ქვემოთ:

### **სესხები**

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, პროცენტური სესხები შემდგომში ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით. მოგება, ან ზარალი აღიარდება, როგორც მოგება-ზარალში, ვალდებულების აღიარების შეწყვეტის მომენტისთვის, ასევე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით ამორტიზაციის პროცესში. ამორტიზირებული ღირებულება გამოითვლება შესყიდვის პროცესში მიღებულ ნებისმიერ პრემიუმის ან ფასდაკლების გათვალისწინებით და ყველა გადასახადის და ხარჯის გათვალისწინებით, რომელიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთით ამორტიზაცია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აღირიცხება, როგორც ფინანსური ხარჯები. აღნიშნული კატეგორია ძირითადად მიესადაგება პროცენტის მატარებელ სესხებს.

### **სავაჭრო და სხვა ვალდებულებები**

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებას იმ საქონლისა თუ მომსახურებისთვის, რომელიც კომპანიამ შეიძინა მისი მომწოდებლებისგან ჩვეულებრივი ბიზნეს ოპერაციებით. სავაჭრო მოთხოვნები კლასიფიცირდება, როგორც მიმდინარე ვალდებულებები, თუ გადახდის ვალდებულება არის ერთ წელამდე პერიოდში, თუ არა, როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები. ამჟამად კომპანიის მთლიანი სავაჭრო ვალდებულებების დაფარვა მოსალოდნელია საბალანსო ანგარიშგების თარიღიდან ერთ წელამდე პერიოდში და კლასიფიცირებულია, როგორც მიმდინარე ვალდებულებები.

სავაჭრო ვალდებულებები თავდაპირველი აღიარებისას ფასდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომ პერიოდში ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

### **აღიარების შეწყვეტა**

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა ხდება, როდესაც მოხდება ნაკისრი ვალდებულების გაუქმება, გათავისუფლება ან ვადის გასვლა. როდესაც ხდება არსებული ფინანსური ვალდებულების ახლით ჩანაცვლება იგივე მსესხებლისგან მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან ხდება არსებული ფინანსური ვალდებულების პირობების მნიშვნელოვანი ცვლილება, მსგავსი გაცვლა ან მოდიფიკაცია აღიარდება, როგორც არსებული ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება. სხვაობა შესაბამის საბალანსო ღირებულებებში აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

### **ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგაქვითვა**

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები გაიქვითება და ნეტო თანხა ნაჩვენებია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევაში თუ მიმდინარე პერიოდში არსებობს იურიდიული ძალის მქონე უფლება, რომ მოხდეს აღიარებული თანხების ურთიერთგაქვითვა და არსებობს განზრახვა, რომ მოხდეს ვალდებულების გასწორება ან აქტივის რეალიზაცია ერთდროულად ნეტო თანხაზე.

### **ფული და ფულის ექვივალენტები**

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფულადი საშუალებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი საშუალებებისგან ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის. შეზღუდული ნაშთები, რომელთა გამოყენება არ შეიძლება 12 თვის განმავლობაში ვალდებულებების დასაფარად ან სხვა გაცვლით ტრანზაქციებში, აღიარდება ბალანსზე როგორც სხვა გრძელვადიანი მოვლენები.

### **ძირითადი საშუალებები**

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები აღირიცხება მათ თავდაპირველ თვითღირებულებას, გამოკლებული დაგროვილი ცვეთა ან/და გაუფასურების ღირებულებით. ძირითადი საშუალების თვითღირებულება შედგება მშენებლობის ხარჯის ან შესყიდვის ფასისგან, მასთან დაკავშირებული იმპორტის გადასახადების, გამოუქვითავი გადასახადების და სხვა პირდაპირი ხარჯების ჩათვლით. ნებისმიერი სავაჭრო ფასდაკლება გამოაკლდება შესყიდვის ან მშენებლობის ფასს.

მცირე შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე. ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის ან კომპონენტების ჩანაცვლებასთან კაპიტალიზირდება და ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება.

ყველა აქტივი წარმოდგენილია საწყისი ღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მენეჯმენტი აფასებს, არსებობს თუ არა ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ნიშნები. თუ გაუფასურებას ჰქონდა ადგილი, ხდება ძირითადი საშუალებების ჩამოფასება და იგი აღიარდება უმაღლესი თანხით შემდეგ ორს შორის: გამოყენების ღირებულება და სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის ხარჯები. საბალანსო ღირებულების შემცირება აისახება მოგება-ზარალზე. წინა პერიოდში აღიარებული აქტივის გაუფასურების დანაკარგი გაიქვითება, თუკი მოხდება აქტივის გამოყენების ღირებულების ან სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის დანახარჯების ღირებულების გამოსათვლელად საჭირო დაშვებების ცვლილება.

სს „საბროკერო კომპანია კაუკასუს კაპიტალ ჯგუფი“  
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები  
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ძირითადი საშუალებების ჩამოწერა/რეალიზაციიდან მისაღები თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით განსაზღვრული სარგებელი და ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში.

**ცვეთა**

ცვეთა ძირითად საშუალებებზე გამოითვლება შემცირებადი ნაშთის მეთოდით, რათა მოხდეს მათი შესყიდვის ხარჯის გადანაწილება მათი სასიცოცხლო პერიოდის განმავლობაში:

|                         | <b>ცვეთის ნორმა</b> |
|-------------------------|---------------------|
| ავეჯი და სხვა ინვენტარი | 20%                 |
| ოფისის აღჭურვილობა      | 40%                 |

ნარჩენი ღირებულება არის სავარაუდო ღირებულება, რომელსაც კომპანია მიიღებდა ამჟამად ძირითადი საშუალების გაყიდვიდან, გაყიდვის ხარჯების გამოკლებით. ძირითადი საშუალებების მომსახურების პერ იოდი გადაიხედება ყოველწლიურად და იცვლება საჭიროების შემთხვევაში.

**შემოსავლის აღიარება**

კომპანიის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს საბროკერო მომსახურების გაწევა . შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებიდან აღიარდება მაშინ როდესაც კლიენტი მიიღებს იმ თანხის მომსახურებას, რომელსაც კომპანია ელოდება, რომ მიიღებს მომსახურების სანაცვლოდ.

**მოგების გადასახადი**

მოგების გადასახადი წარმოდგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ან დასკვნის თარიღისთვის ამოქმედებული კანონმდებლობის მიხედვით. მოგების გადასახადი წარმოადგენს მიმდინარე გადასახადს და აღიარდება მოგება ზარალის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ის პირდაპირ აღიარებულია კაპიტალში, რადგანაც უკავშირდება ოპერაციებს, რომლებიც იმავე ან განსხვავებულ პერიოდში, ასევე პირდაპირ კაპიტალში აღიარდება.

მიმდინარე მოგების გადასახადი არის მიმდინარე ან გასული პერიოდის დასაბეგრი მოგების გადასახდელი ან ზარალის შესაბამისი მოგების გადასახადის აღდგენადი თანხა. იმ შემთხვევაში თუ ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნება ხდება საგადასახადო დეკლარაციების ჩაბარებამდე, დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნება შეფასებებს. გადასახადები, მოგების გარდა, აღირიცხება ადმინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში.

გადავადებული მოგების გადასახადი აღარ მიესადაგება ფინანსურ ანგარიშგებებს, იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოს ახალი საგადასახადო კოდექსით აღარ გამოიყენება.

### *სააქციო კაპიტალი*

ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირდება როგორც კაპიტალი. ახალი აქციების გამოშვებისას კაპიტალში შემოსავალი აისახება პირდაპირი ხარჯების (გადასახადების გარეშე) დაკლებით. სხვაობა აქციის ნომინალურ და სამართლიან ღირებულებას შორის აღირიცხება როგორც საემისიო კაპიტალი.

### *პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები*

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არა-ფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესაბამისი სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ.

### **3. მნიშვნელოვანი ბუღალტრული გადაწყვეტილებები, შეფასებები და ვარაუდები**

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს მენეჯმენტისგან გადაწყვეტილებების მიღებას, შეფასებების და ვარაუდების შემუშავებას, რასაც გავლენა აქვს ანგარიშში მოყვანილი შემოსავლის, ხარჯების, აქტივების და ვალდებულებების ოდენობაზე და თანხლებ გამოვლინებებზე და სადავო ვალდებულებების გამოვლინებაზე. გაურკვევლობამ ამ ვარაუდებსა და შეფასებებთან დაკავშირებით შესაძლოა მიგვიყვანოს შედეგებამდე, რაც საჭიროებს აქტივების და პასივების საბალანსო მაჩვენებლების არსებით რეგულირებას, რომლებიც შეიცვლება სამომავლო პერიოდში.

### *საგადასახადო კანონმდებლობა.*

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ექვემდებარება არაერთმნიშვნელოვან ინტერპრეტაციას.

### *გადასახადები.*

გადადებული საგადასახადო აქტივები აღიარებულია გამოუყენებელი საგადასახადო დანაკარგებისათვის იმდენად, რამდენადაც შესაძლებელია, რომ დაბეგვრადი მოგება ხელმისაწვდომი იყოს, რომლის მიმართ დანაკარგები უტილიზირებული იქნება. მნიშვნელოვანი მენეჯმენტის გადაწყვეტილებები საჭიროა იმ გადადებული საგადასახადო აქტივების ოდენობის დასადგენად, რომელიც შესაძლოა აღიარებული იყოს, მსგავსი დროის გრაფიკის და მომავალი დასაბეგრი მოგების დონის საფუძველზე, სამომავლო საგადასახადო გეგმიურ სტრატეგიებთან ერთად.

### *ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებს შორის*

კომპანიის ბიზნესის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას კომპანია დებს გარიგებებს დაკავშირებულ მხარეებთან. ფასს 9 მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების საწყის აღიარებას, მათ სამართლიან ღირებულებაზე დაყრდნობით. გადაწყვეტილება გამოიყენება იმის დასადგენად, გარიგება შეფასებულია საბაზრო თუ არასაბაზრო ფასებით, როდესაც არ არის აქტიური ბაზარი ამგვარი გარიგებისათვის. გადაწყვეტილების საფუძველი არის მსგავსი ტიპის გარიგებების ფასდადება არადაკავშირებულ მხარეებთან.

### *ძირითადი საშუალებების საექსპლუატაციო ვადები*

კომპანიამ იმსჯელა ძირითადი საშუალებების საექსპლუატაციო ვადების დადგენაზე, იმ ფაქტორების გათვალისწინებით, როგორცაა ტექნიკური ან კომერციული დაძველება, აქტივების მოსალოდნელი გამოყენება აქტივების მოსალოდნელ ფიზიკური მწარმოებლურობის მოცულობასთან და მოსალოდნელ ფიზიკურ ამორტიზაციასთან კავშირში, დამოკიდებულია საწარმოო ფაქტორებზე. თუმცა მენეჯმენტმა განახორციელა თავისი საუკეთესო შეფასებები აქტივებში განივთებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოხმარების სტრუქტურის შესაქმნელად, იგი შესაძლოა არსებითად განსხვავდებოდეს ფაქტობრივი შედეგებიდან, რამაც შესაძლოა არსებითი გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშში მოყვანილ ციფრებზე.

#### **4. IASB-ს მიერ გამოცემული ახალი ან რედაქტირებული სტანდარტები და განმარტებები**

**ახალი ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მიღება.**

კომპანიამ მიიღო ფასს 15 და ფასს 9. აღნიშნული ახალი სტანდარტების დანერგვით გამოწვეული ცვლილების შინაარსი და ეფექტი აღწერილია ქვემოთ.

რამდენიმე სხვა შესწორება და ინტერპრეტაცია მიღებულია პირველად 2018 წელს, მაგრამ არ აქვთ გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე. კომპანია ვადაზე ადრე არ გადასულა სტანდარტზე, ინტერპრეტაციაზე ან შესწორებაზე, რომელიც გამოშვებულია, მაგრამ არ არის ჯერ ძალაში შესული.

#### **ფასს 15 შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან**

ფასს 15 ჩაანაცვლებს ბასს 11-ს სამშენებლო ხელშეკრულებები, ბასს 18 შემოსავალი და მასთან დაკავშირებულ ინტერპრეტაციებს და მოიცავს, მცირე გამონაკლისებით, კლიენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან მიღებულ ყველა ტიპის შემოსავალს. ფასს 15 შემოაქვს 5 ეტაპიანი მოდელი კლიენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან მიღებული შემოსავლის აღსარიცხად და მოითხოვს, რომ შემოსავალი აღიარდეს იმ თანხით, რაც ასახავს სუბიექტის მიერ გაწეული მომსახურების ან მიწოდებული საქონლის სანაცვლოდ მოსალოდნელ მისაღებ საზღაურს.

ფასს 15 მოითხოვს სუბიექტებისგან, რომ კლიენტებთან ხელშეკრულებების აღნიშნული მოდელის თითოეულ ეტაპზე გამოიყენონ საკუთარი განსჯა, ყველა დაკავშირებული ფაქტების და გარემოებების გათვალისწინებით. სტანდარტი ასევე განსაზღვრავს ხელშეკრულების მოპოვების ზღვრული ხარჯების და ხელშეკრულების შესრულებასთან პირდაპირ დაკავშირებული ხარჯების აღრიცხვის წესს. ამასთან, სტანდარტი დამატებით მოითხოვს ვრცელ განმარტებით შენიშვნებს.

კომპანია გადავიდა ფასს 15-ზე მოდიფიცირებული რეტროსპექტიული მეთოდის გამოყენებით, საწყისი გადასვლის თარიღად აღებული იქნა 2018 წლის 1 იანვარი. აღნიშნული მეთოდით, სტანდარტი შეიძლება გავრცელდეს გადასვლის თარიღისთვის არსებულ ყველა ხელშეკრულებაზე, ან მხოლოდ იმ კონტრაქტებზე, რომელიც აღნიშნული თარიღისთვის ჯერ არ არის დასრულებული. კომპანიამ გადაწყვიტა, რომ გაავრცელოს სტანდარტი 2018 წლის 1 იანვრისთვის არსებულ ყველა ხელშეკრულებაზე. ახალი სტანდარტის დანერგვას არ ჰქონდა გავლენა კომპანიის 2018 წლის 31 დეკემბრის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე.

სს „საბროკერო კომპანია კაუკასუს კაპიტალ ჯგუფი“  
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები  
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

**ფასს 9 ფინანსურ ინსტრუმენტები**

ფასს 9 ფინანსური ინსტრუმენტები ჩაანაცვლებს ბასს 39 „ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება“-ს 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდისთვის და გააერთიანებს ფინანსური ინსტრუმენტების აღრიცხვის სამივე ასპექტს: კლასიფიკაცია და შეფასება, გაუფასურება და ჰეჯირების აღრიცხვა.

კომპანია გადავიდა ფასს 9-ზე რეტროსპექტულად, საწყისი გადასვლის თარიღად აღებული იქნა 2018 წლის 1 იანვარი. ახალი სტანდარტის დანერგვას არ ჰქონდა გავლენა კომპანიის 2018 წლის 31 დეკემბრის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე.

**სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა**

სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის ჯერ ძალაში არ შესულა, მოცემულია ქვემოთ. კომპანია ამ სტანდარტების მიღებას შეძლებისდაგვარად აპირებს მათი ძალაში შესვლისთანავე:

**ფასს (IFRS) 16 „იჯარა“**

ფასს (IFRS) 16 გამოიცა 2016 წლის იანვარში და ჩაანაცვლებს ბასს (IAS) 17-ს „იჯარა“, ფაისკ (IFRIC) 4-ს „როგორ განვსაზღვროთ, შეიცავს თუ არა შეთანხმება იჯარას“, იმკ (SIC) 15-ს „საოპერაციო იჯარა - სტიმულირება“ და იმკ (SIC) 27-ს „გარიგებების შინაარსის შეფასება, რომელიც შეიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას“. ფასს (IFRS) 16-ში მოცემულია იჯარის აღიარების, შეფასების, წარდგენისა და განმარტებითი შენიშვნების პრინციპები და მოიჯარისგან მოითხოვს ყველა იჯარის აღრიცხვას საბალანსო უწყისზე, ბასს (IAS) 17-ის მიხედვით ფინანსური იჯარის აღრიცხვის ანალოგიურად. სტანდარტი ითვალისწინებს აღიარების ორ გამონაკლისს მოიჯარეებისთვის - „დაბალი ღირებულები მქონე“ აქტივების (მაგ. პერსონალური კომპიუტერები) იჯარა და მოკლევადიანი იჯარა (ე. ი. იჯარა 12-თვიანი ან ნაკლები ვადით). საიჯარო ხელშეკრულების ძალაში შესვლის თარიღისთვის, მოიჯარე აღიარებს ვალდებულებას საიჯარო გადასახადის გადახდის თაობაზე (ე. ი. საიჯარო ვალდებულება) და აქტივს, რომელიც წარმოადგენს უფლებას შესაბამისი აქტივის გამოყენებაზე იჯარის ვადის განმავლობაში (ე. ი. აქტივის გამოყენების უფლება). მოიჯარეები ვალდებულები არიან ცალკე აღიარონ საიჯარო ვალდებულების საპროცენტო ხარჯი და აქტივის გამოყენების უფლების საამორტიზაციო ხარჯი.

მოიჯარე ასევე ვალდებულია გარკვეული მოვლენების დადგომის შემთხვევაში (მაგ. იჯარის ვადის შეცვლა, სამომავლო საიჯარო გადასახადებში ცვლილება მათი განსაზღვრისთვის გამოყენებული ინდექსის ან განაკვეთის ცვლილების გამო) ხელახლა შეაფასოს საიჯარო ვალდებულება. მოიჯარე ზოგადად საიჯარო ვალდებულების ხელახლა შეფასების თანხას აღიარებს, როგორც აქტივის გამოყენების უფლების კორექტირებას.

მეიჯარის აღრიცხვა ფასს 16-ის მიხედვით არსებითად არ განსხვავდება ბასს 17-ის თანახმად არსებული პრაქტიკისგან. მეიჯარე გააგრძელებს ყველა იჯარის კლასიფიცირებას იმავე პრინციპით, როგორც ბასს 17-ის მიხედვით და გამიჯნავს ორი ტიპის იჯარას: საოპერაციოს და ფინანსურს. ფასს 16-ით როგორც მოიჯარეებს, ისე მეიჯარეებს

სს „საბროკერო კომპანია კაუკასუს კაპიტალ ჯგუფი“  
 ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები  
 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ავალდებულებებს უფრო დეტალური განმარტებითი შენიშვნების წარმოდგენას, ვიდრე ეს ბასს 17-ის თანახმად ხდებოდა.

ფასს 16 ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ნებადართულია ნაადრევი გამოყენება, თუმცა საწარმოს მიერ ფასს 15-ის გამოყენებაზე ადრე არა. მოიჯარემ შეიძლება გადაწყვიტოს სტანდარტის გამოყენება მთლიანად რეტროსპექტული ან მოდიფიცირებული რეტროსპექტული მიდგომით. სტანდარტის გარდამავალი დებულებები გარკვეულ შეღავათებს ითვალისწინებს.

2018 წელს კომპანია გააგრძელებს თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე ფასს 16-ის პოტენციური გავლენის შეფასებას. კომპანია ახალი სტანდარტის მიღებას მისი ძალაში შესვლის თარიღისთვის აპირებს.

**5. ფულადი საშუალებები და მათი ექვივალენტები**

| <b>ფული და ფულის ექვივალენტები</b>           | <b>31 დეკემბერი, 2018</b> | <b>31 დეკემბერი, 2017</b> |
|--|---------------------------|---------------------------|
| ეროვნული ვალუტა ბანკში                       | 22,165                    | 1,140                     |
| უცხოური ვალუტა რეზიდენტ საბანკო ანგარიშზე    | 7,799                     | 1,365                     |
| უცხოური ვალუტა არარეზიდენტ საბანკო ანგარიშზე | 10,783                    | 20,167                    |
| <b>სულ ფული და ფულის ექვივალენტები</b>       | <b>40,747</b>             | <b>22,672</b>             |

ნაღდი ფულის ნაშთი საბანკო ანგარიშებზე შესაძლოა კლასიფიცირებული იყოს, როგორც არასარისკო, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ბანკები, სადაც კომპანიას მიმდინარე ანგარიშები აქვს, არის სანდო და საყოველთაოდ ცნობილი საკრედიტო დაწესებულებები.

**6. მოკლევადიანი ინვესტიციები**

| <b>მოკლევადიანი ინვესტიციები</b>           | <b>31 დეკემბერი, 2018</b> | <b>31 დეკემბერი, 2017</b> |
|--|---------------------------|---------------------------|
| სპეკულაციისთვის არსებული ფასიანი ქაღალდები | 29,841                    | 78,386                    |
| <b>სულ მოკლევადიანი ინვესტიციები</b>       | <b>29,841</b>             | <b>78,386</b>             |

ცხრილში მოცემული ინვესტიციები წარმოადგენენ სავაჭრო პლატფორმაზე არსებულ სხვადასხვა ფასიან ქაღალდებს, რომელიც აღრიცხულია სამართლიანი ღირებულებით.

**7. დებიტორული დავალიანება**

| <b>დებიტორული დავალიანება</b>     | <b>31 დეკემბერი, 2018</b> | <b>31 დეკემბერი, 2017</b> |
|-----------------------------------|---------------------------|---------------------------|
| კლიენტებისგან მისაღები საკომისიო  | 9,570                     | 8,016                     |
| მოთხოვნები კაპიტალის შევსებაზე    | -                         | 60,000                    |
| <b>სულ დებიტორული დავალიანება</b> | <b>9,570</b>              | <b>68,016</b>             |

პერიოდის განმავლობაში არ ყოფილა გაუფასურების რეზერვის ცვლილება. სავაჭრო მოთხოვნები 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, თანხით 9,570 ლარი არც ვადაგადაცილებულია და არც გაუფასურებული (2017: 68,016 ლარი)



სს „საბროკერო კომპანია კაუკასუს კაპიტალ ჯგუფი“  
 ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები  
 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

8. ძირითადი საშუალებები

| თვითღირებულება            | ოფისის<br>აღჭურვილობა | ავეჯი და სხვა<br>ინვენტარი | სულ           |
|---------------------------|-----------------------|----------------------------|---------------|
| <b>1 იანვარი 2017</b>     | <b>19,224</b>         | <b>8,193</b>               | <b>27,417</b> |
| შეძენა                    | 7,946                 | -                          | 7,946         |
| <b>31 დეკემბერი, 2017</b> | <b>27,170</b>         | <b>8,193</b>               | <b>35,363</b> |
| შეძენა                    | 1,718                 | -                          | 1,718         |
| <b>31 დეკემბერი, 2018</b> | <b>28,888</b>         | <b>8,193</b>               | <b>37,081</b> |

  

| აკუმულირებული ცვეთა       | ოფისის<br>აღჭურვილობა | ავეჯი და სხვა<br>ინვენტარი | სულ           |
|---------------------------|-----------------------|----------------------------|---------------|
| <b>1 იანვარი 2017</b>     | <b>15,310</b>         | <b>7,282</b>               | <b>22,592</b> |
| ცვეთა წლის მანძილზე       | 2,364                 | 183                        | 2,547         |
| <b>31 დეკემბერი, 2017</b> | <b>17,674</b>         | <b>7,465</b>               | <b>25,139</b> |
| ცვეთა წლის მანძილზე       | 3,262                 | 173                        | 3,435         |
| <b>31 დეკემბერი, 2018</b> | <b>20,936</b>         | <b>7,637</b>               | <b>28,573</b> |
| <b>წმინდა ღირებულება</b>  |                       |                            |               |
| <b>31 დეკემბერი, 2017</b> | <b>9,496</b>          | <b>728</b>                 | <b>10,224</b> |
| <b>31 დეკემბერი, 2018</b> | <b>7,952</b>          | <b>556</b>                 | <b>8,508</b>  |

9. არამატერიალური აქტივები

| თვითღირებულება            | ლიცენზია   | კომპიუტერული<br>პროგრამა | დაუსრულებელი<br>არამატერიალური<br>აქტივები | სხვა<br>არამატერიალური<br>აქტივები | სულ          |
|---------------------------|------------|--------------------------|--|------------------------------------|--------------|
| <b>1 იანვარი 2017</b>     | <b>700</b> | <b>871</b>               | <b>1,820</b>                               | <b>267</b>                         | <b>3,658</b> |
| შეძენა                    | -          | -                        | -  | -                                  | -            |
| <b>31 დეკემბერი, 2017</b> | <b>700</b> | <b>871</b>               | <b>1,820</b>                               | <b>267</b>                         | <b>3,658</b> |
| შეძენა                    | -          | -                        | -  | -                                  | -            |
| <b>31 დეკემბერი, 2018</b> | <b>700</b> | <b>871</b>               | <b>1,820</b>                               | <b>267</b>                         | <b>3,658</b> |

  

| აკუმულირებული<br>ამორტიზაცია | ლიცენზია   | კომპიუტერული<br>პროგრამა | დაუსრულებელი<br>არამატერიალური<br>აქტივები | სხვა<br>არამატერიალური<br>აქტივები | სულ          |
|------------------------------|------------|--------------------------|--|------------------------------------|--------------|
| <b>1 იანვარი 2017</b>        | <b>582</b> | <b>672</b>               | -  | <b>223</b>                         | <b>1,477</b> |
| ცვეთა წლის<br>მანძილზე       | 18         | 30                       | -  | 6                                  | 54           |
| <b>31 დეკემბერი, 2017</b>    | <b>600</b> | <b>702</b>               | -  | <b>229</b>                         | <b>1,531</b> |
| ცვეთა წლის<br>მანძილზე       | 15         | 25                       | -  | 6                                  | 46           |
| <b>31 დეკემბერი, 2018</b>    | <b>615</b> | <b>727</b>               | -  | <b>235</b>                         | <b>1,577</b> |
| <b>წმინდა<br/>ღირებულება</b> |            |                          |  |                                    |              |
| <b>31 დეკემბერი, 2017</b>    | <b>100</b> | <b>169</b>               | <b>1,820</b>                               | <b>38</b>                          | <b>2,127</b> |
| <b>31 დეკემბერი, 2018</b>    | <b>85</b>  | <b>144</b>               | <b>1,820</b>                               | <b>32</b>                          | <b>2,081</b> |

სს „საბროკერო კომპანია კაუკასუს კაპიტალ ჯგუფი“  
 ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები  
 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

**10. გრძელვადიანი ინვესტიციები**

| გრძელვადიანი ინვესტიციები                | 31 დეკემბერი, 2018 | 31 დეკემბერი, 2017 |
|--|--------------------|--------------------|
| სს "საქართველოს საფონდო ბირჟის" აქციები  | 299,998            | 299,998            |
| სს "სი ეს არ"-ის აქციები                 | 92,812             | 92,811             |
| სს "ეს ეიჩ"-ის აქციები                   | -                  | 23,220             |
| სს "ვითიბი ბანკი ჯორჯია"-ს აქციები       | 148                | 148                |
| <b>ჯამურად გრძელვადიანი ინვესტიციები</b> | <b>392,958</b>     | <b>416,177</b>     |

**11. კრედიტორული დავალიანება**

| კრედიტორული დავალიანება  | 31 დეკემბერი, 2018 | 31 დეკემბერი, 2017 |
|--|--------------------|--------------------|
| ვალდებულებები საოპერაციო საქმიანობისთვის მიღებული მომსახურებიდან | 18,734             | 14,943             |
| საკონსულტაციო და აუდიტის მომსახურების ვალდებულება                | 5,900              | 5,900              |
| სხვა დავალიანებები   | 10                 | 60                 |
| ვალდებულებები სხვა საწარმოს აქციების შეძენისგან                  | -                  | 26,578             |
| <b>სულ კრედიტორული დავალიანება</b>                               | <b>24,644</b>      | <b>47,481</b>      |

სავაჭრო და სხვა ვალდებულებების სამართლიან ღირებულებასა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა არაა.

**12. ვალდებულებები მოკლე პოზიციიდან**

ვალდებულებები მოკლე პოზიციიდან არის მხოლოდ 1 კონტრაგენტის ქრილში, რომელთანაც კომპანია ახორციელებს სპეკულაციურ ოპერაციებს.

**13. კაპიტალი**

| კაპიტალი                     | 31 დეკემბერი, 2018 | 31 დეკემბერი, 2017 |
|------------------------------|--------------------|--------------------|
| გაცხადებული სააქციო კაპიტალი | 400,000            | 400,000            |
| შეუვსებელი სააქციო კაპიტალი  | (30,000)           | (31,440)           |
| <b>სულ კაპიტალი</b>          | <b>370,000</b>     | <b>368,560</b>     |

**14. საკომისიო შემოსავლები და ხარჯები**

| საკომისიო შემოსავლები და ხარჯები | 2018            | 2017            |
|----------------------------------|-----------------|-----------------|
| საბროკერო საქმიანობიდან          | 56,260          | 45,068          |
| <b>სულ საკომისიო შემოსავალი</b>  | <b>56,260</b>   | <b>45,068</b>   |
| საკომისიო ხარჯი                  | (62,137)        | (59,394)        |
| <b>სულ საკომისიო ხარჯი</b>       | <b>(62,137)</b> | <b>(59,394)</b> |
| წმინდა საკომისიო ზარალი          | (5,877)         | (14,326)        |

სს „საბროკერო კომპანია კაუკასუს კაპიტალ ჯგუფი“  
 ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები  
 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

15. სხვა საოპერაციო შემოსავლები

| სხვა საოპერაციო შემოსავლები                     | 2018         | 2017          |
|---|--------------|---------------|
| აქციების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი         | 4,068        | 21,429        |
| აქციების გადაფასებიდან მიღებული შემოსავალი      | -            | 8,460         |
| დივიდენდებიდან მიღებული შემოსავალი              | 272          | 2,800         |
| ღია პოზიციიდან მიღებული შემოსავალი, რეალიზებული | -            | 5,981         |
| სხვა საოპერაციო შემოსავლები                     | 10           | 78            |
| <b>სულ საოპერაციო შემოსავლები</b>               | <b>4,350</b> | <b>38,747</b> |

16. კურსთაშორისი მოგება/ზარალი

| კურსთაშორისი მოგება/ზარალი                  | 2018           | 2017           |
|---|----------------|----------------|
| საკურსო მოგება                              | 8,607          | 11,136         |
| საკურსო ზარალი                              | (9,877)        | (15,376)       |
| <b>სულ წმინდა საკურსო მოგება / (ზარალი)</b> | <b>(1,270)</b> | <b>(4,240)</b> |

17. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

| ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები            | 2018          | 2017          |
|--|---------------|---------------|
| ხელფასი                                      | 16,352        | 13,801        |
| იჯარა და კომუნალური გადასახადები             | 10,714        | 8,159         |
| საკონსულტაციო და აუდიტის ხარჯები             | 6,764         | 5,900         |
| ცვეთა და ამორტიზაცია                         | 3,480         | 2,600         |
| სხვა ადმინისტრაციული ხარჯები                 | 2,126         | 2,015         |
| ტერმინალით სარგებლობის ხარჯები               | 1,200         | 1,200         |
| კონსულტაცია და სხვა პროფესიული მომსახურება   | 931           | 1,470         |
| საბანკო ხარჯები                              | 239           | 414           |
| <b>სულ ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები</b> | <b>41,806</b> | <b>35,559</b> |

18. სხვა ხარჯები

| სხვა ხარჯები                               | 2018          | 2017          |
|--|---------------|---------------|
| აქციების გადაფასება საბაზრო ფასით          | 15,741        | 17,511        |
| აქციების გაყიდვით მიღებული ზარალი          | -             | 4,877         |
| ღია პოზიციიდან მიღებული ხარჯი, რეალიზებული | 7,360         | -             |
| საგადასახადო ხარჯი                         | 91            | -             |
| სხვა ხარჯები                               | 5,796         | 146           |
| <b>სულ სხვა ხარჯები</b>                    | <b>28,988</b> | <b>22,534</b> |

## 19. ფინანსური რისკის მართვა

კომპანიის რისკის მენეჯმენტის ფუნქციები იწარმოება, ფინანსური, საოპერაციო და იურიდიული რისკების მიხედვით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის სავალუტო რისკს საპროცენტო რისკს და სხვა საფასურთან დაკავშირებულ რისკებს), ასევე საკრედიტო რისკებს და ლიკვიდურობასთან დაკავშირებულ რისკებს. ფინანსური რისკის მართვის პირველადი ამოცანაა ჩამოაყალიბოს მისაღები რისკის ლიმიტები და შემდეგ უზრუნველყოს არსებული რისკების ამ ლიმიტების ფარგლებში დარჩენა. საოპერაციო და იურიდიული რისკ მენეჯმენტის ფუნქციები შედგენილია იმაზე გათვლით რომ მოხდეს შიდა პოლიტიკისა და პროცედურების სწორი წარმოება, რათა აცილებული იქნას თავიდან ავიცილოთ საოპერაციო და იურიდიული რისკები.

### საბაზრო რისკი

კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკებს, საბაზრო რისკები ჩნდება არასამუშაო მდგომარეობაში ა) უცხოურ ვალუტებთან მიმართებაში ბ) საპროცენტო აქტივების და ვალდებულებები მიმართებაში გ) ფასიან ქაღალდებთან მიმართებაში, ყველა მათგანი დაუცველია ზოგადი და სპეციფიური საბაზრო ცვალებადობის მიმართ. მენეჯმენტი აწესებს მათთვის მისაღები რისკის შეფასების ლიმიტებს, რისკის მონიტორინგი ხდება ყოველდღიურად, თუმცა ეს მიდგომა ხელს ვერ შეუშლის დანაკარგების მიღებას როდესაც ბაზარზე მნიშვნელოვანი ცვალებადობის დროს რისკი ამ განსაზღვრულ საზღვრებს გასცდება.

მგრძობიარობა ქვემოთ დასახელებულ საბაზრო რისკების გავლენაზე გამოყოფილია მხოლოდ ერთი ფაქტორის ცვლილებაზე გათვლით, როდესაც სხვა ფაქტორები რჩება მუდმივი. პრაქტიკაში კი მოვლენების ასეთი განვითარება ნაკლებად მოსალოდნელია ცვლილებები ზოგიერთ კოეფიციენტში კორელაციაშია ერთმანეთთან, მაგალითად ცვლილებები საპროცენტო განაკვეთში შესაძლებელია კორელაციაში იყოს სავალუტო კურსის ცვლილებებთან.

### უცხოური ვალუტის რისკი

უცხოური ვალუტის რისკი არის რისკი, რომ სამართლიანი ღირებულება ან ფინანსური ინსტრუმენტების სამომავლო ფულადი ნაკადები იქნება არამყარი უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილებების გამო. კომპანიის საფრთხე რისკის მიმართ უპირველესად უკავშირდება მის ფუნქციონირებას (წინასწარი გადახდები უცხოურ ვალუტაში) და ფინანსირების საქმიანობებს (სესხები და კრედიტები დენომინირებული უცხოურ ვალუტაში). კომპანიის ტრანზაქციების უმეტესობა ხორციელდება ლარში. სავალუტო რისკის საფრთხე მომდინარეობს კომპანიის ნაღდი ფულის და საბანკო ბალანსებიდან, რომლებიც დენომინირებულია სხვადასხვა ვალუტებში.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური აქტივები და პასივები, რომლებიც კომპანიას სავალუტო რისკის წინაშე აყენებენ, ქვემოთ არის მოცემული. მოცემული თანხები არის თანხები, რომლებიც შეტყობინებულია მთავარი მენეჯმენტისათვის და კონვერტირებულია ლარში საანგარიშო პერიოდის კურსით

სს „საპროცერო კომპანია კაუკასუს კაპიტალ ჯგუფი“  
 ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები  
 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

გარდა ამისა ქვემოთ მოცემულ ცხრილში დეტალურად არის აღწერილი კომპანიის მგრძობელობა 30%-იან ზრდაზე და შემცირებაზე ლარში თითოეულ ვალუტასთან მიმართებით. 30% წარმოადგენს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის შესაძლო ცვლილების მენეჯმენტისეულ შეფასებას. ანალიზი „მგრძობელობაზე“ მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ ნარჩენ ფულად საშუალებებს და არეგულირებს მათ კონვერტირებას პერიოდის დასასრულისათვის უცხოური ვალუტის კურსის 30%-იანი ცვლილებით.

დადებითი სიდიდე მიუთითებს მოგება-ზარალის ზრდას, როდესაც ლარი მყარდება შესაბამისი ვალუტის მიმართ.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური აქტივები და პასივები, რომლებიც კომპანიას სავალუტო რისკის წინაშე აყენებენ, ქვემოთ არის მოცემული:

| 2018                                  | ლარი          | აშშ დოლარი    | ევრო          | ფუნტი        | კანადური დოლარი | სულ           |
|---------------------------------------|---------------|---------------|---------------|--------------|-----------------|---------------|
| <b>ფინანსური აქტივები</b>             |               |               |               |              |                 |               |
| ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები | 22,164        | 7,994         | 7,799         | -            | 2,790           | 40,747        |
| დებიტორული დავალიანება                | 1,899         | 431           | 27            | 7,247        | (34)            | 9,570         |
| მოკლევადიანი ინვესტიციები             | -             | 25,066        | 4,775         | -            | -               | 29,841        |
| <b>სულ ფინანსური აქტივები</b>         | <b>24,063</b> | <b>33,491</b> | <b>12,601</b> | <b>7,247</b> | <b>2,756</b>    | <b>80,158</b> |
| <b>ფინანსური ვალდებულებები</b>        |               |               |               |              |                 |               |
| კრედიტორული დავალიანება               | 8,460         | 5,218         | 3,721         | 7,245        | -               | 24,644        |
| ვალდებულებები მოკლე პოზიციიდან        | -             | 10,807        | -             | -            | -               | 10,807        |
| <b>სულ ფინანსური ვალდებულებები</b>    | <b>8,460</b>  | <b>16,025</b> | <b>3,721</b>  | <b>7,245</b> | <b>-</b>        | <b>35,451</b> |
| <b>წმინდა სავალუტო პოზიცია</b>        | <b>15,603</b> | <b>17,466</b> | <b>8,880</b>  | <b>2</b>     | <b>2,756</b>    | <b>44,707</b> |
| <b>გავლენა მოგება-ზარალზე</b>         |               |               |               |              |                 |               |
| 30%-იანი ზრდა                         | 4,681         | 5,240         | 2,664         | 1            | 827             | 13,412        |
| 30%-იანი შემცირება                    | (4,681)       | (5,240)       | (2,664)       | (1)          | (827)           | (13,412)      |

**საპროცენტო განაკვეთის რისკი**

საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი, როდესაც სამართლიანი ღირებულება ან ღირებულება ან ფინანსური ინსტრუმენტების სამომავლო ფულადი ნაკადები იქნება არამყარი საბაზრო საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო. კომპანიას არ ემუქრება მნიშვნელოვანი საპროცენტო განაკვეთის რისკი, რამდენადაც კომპანიის არ აქვს სესხები და ნასესხები თანხები ცვალებადი საპროცენტო განაკვეთით.

**ლიკვიდურობის რისკი**

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ კომპანიამ ვერ შეძლოს თავის ვალდებულებების შესრულება.

სს „საბროკერო კომპანია კაუკასუს კაპიტალ ჯგუფი“  
 ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები  
 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

კომპანიის პოლიტიკა გულისხმობს, აწარმოოს წინდახედული ლიკვიდურობის პოლიტიკა საკმარისი ნაღდი ფულის და საბანკო ნაშთის ფლობით, აგრეთვე ძლიერ ლიკვიდური აქტივების ფლობით ყველა საოპერაციო და სავალო მომსახურების გასაწევად, რაც უკავშირდება გადახდებს, როდესაც ისინი დაექვემდებარებიან გადახდას.

ქვემოთ მოცემული ცხრილი დეტალურად აღწერს კომპანიის ფინანსური დოკუმენტებით გათვალისწინებულ ნარჩენ დაფარვის ვადებს მისი არა-დერივატიული ფინანსური ვალდებულებებისათვის გადახდის შეთანხმებული პერიოდებით. ცხრილი შედგენილია ფინანსური ვალდებულებების ფულადი ნაკადების საფუძველზე უფრო ადრეულ თარიღზე დაყრდნობით, როდესაც კომპანიას მოეთხოვება გადახდა.

**31 დეკემბერი, 2018**

| ფინანსური ვალდებულებები            | 1 წლამდე      | 1-5 წლამდე | 5 წელზე მეტი | სულ           |
|------------------------------------|---------------|------------|--------------|---------------|
| კრედიტორული დავალიანება            | 24,644        | -          | -            | 24,644        |
| ვალდებულებები მოკლე პოზიციიდან     | 10,807        | -          | -            | 10,807        |
| <b>სულ ფინანსური ვალდებულებები</b> | <b>35,451</b> | <b>-</b>   | <b>-</b>     | <b>35,451</b> |

**31 დეკემბერი, 2017**

| ფინანსური ვალდებულებები            | 1 წლამდე      | 1-5 წლამდე | 5 წელზე მეტი | სულ           |
|------------------------------------|---------------|------------|--------------|---------------|
| კრედიტორული დავალიანება            | 47,481        | -          | -            | 47,481        |
| ვალდებულებები მოკლე პოზიციიდან     | 14,387        | -          | -            | 14,387        |
| <b>სულ ფინანსური ვალდებულებები</b> | <b>61,868</b> | <b>-</b>   | <b>-</b>     | <b>61,868</b> |

**20. კაპიტალის უკმარისობის რისკის მართვა**

კომპანიის კაპიტალის სტრუქტურა შედგება კაპიტალისგან, რომელიც მოიცავს გამოცემულ კაპიტალს, დაგროვილ ზარალს და ვალს. კომპანიის მენეჯმენტი აფასებს კომპანიის კაპიტალის მოთხოვნებს ეფექტური მთლიანი ფინანსირების სტრუქტურის შესანარჩუნებლად ნასესხები საშუალებებისგან თავის არიდების დროს. აღნიშნული ითვალისწინებს კომპანიის სხვადასხვა კლასის ვალების სუბორდინაციის დონეს, აგრეთვე არეგულირებს გადახდილი დივიდენდების ოდენობას, კაპიტალის მფლობელებისათვის დაბრუნებას, ახალი აქციების გამოცემას.

## 21. დაკავშირებული მხარე

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია IAS 24 -ით „შენიშვნები დაკავშირებული მხარეების შესახებ“, წარმოადგენს :

- a. მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად, ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით: აკონტროლებს ან კონტროლდება, ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანია (მათ შორის, მშობლები, შვილობილი კომპანიები და თანამზრახველები); ფლობს წილს კომპანიაში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;
- b. პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივი საწარმო.
- c. ერთობლივი საწარმოები, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;
- d. კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.
- e. ოჯახის ახლო წევრები, რომელიც ნახსენებია (a) ან (d)-ში;
- f. მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, (d) ან (e)-ში ნახსენებ ინდივიდუალებს.
- g. დასაქმების შემდგომი შეღავათების სისტემა თანამშრომლებისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული კომპანია.

კომპანიის აქციონერები არიან გიორგი ლოლაძე (91,13%) და ნიკოლოზ ლოლაძე (8,87%).

კომპანია ფლობს სს „სი ეს არ“-ში პრივილეგირებულ აქციების 25,6%-ს, ხოლო სს „საქართველოს საფონდო ბირჟის“ აქციების 10% -ს.

## 22. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

2019 წლის 6 თებერვალს გიორგი ლოლაძემ მოახდინა 2018 წელს შესყიდული კომპანიის აქციების ღირებულების დაფარვა თანხით 5,346 ლარი.

2019 წლის 14 თებერვალს გიორგი ლოლაძემ მოახდინა 2018 წელს შესყიდული კომპანიის აქციების ღირებულების დაფარვა თანხით 2,880 ლარი.

2019 წლის 28 მარტს გიორგი ლოლაძემ მოახდინა 2018 წელს შესყიდული კომპანიის აქციების ღირებულების დაფარვა თანხით 24,654 ლარი.

სს „საბროკერო კომპანია კაუკასუს კაპიტალ ჯგუფი“  
 ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები  
 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

### 23. კორექტირება

კომპანიამ მოახდინა 2017 წლის ფულადი სახსრების კორექტირება

| ეფექტი ფულადი ნაკადების მოძრაობის<br>ანგარიშგებაზე<br>31 დეკემბერი, 2017 | წინა<br>ანგარიშგების<br>მიხედვით | მაკორექტირებელი<br>შესწორება | კორექტირებული<br>თანხები |
|--|----------------------------------|------------------------------|--------------------------|
| სხვა შემოსავალი/(ხარჯი)  | (3,918)                          | (12,295)                     | (16,213)                 |
| ცვლილება დებიტორული დავალიანების   | 26,235                           | (22,470)                     | 3,765                    |
| ცვლილება წინასწარ გაწეული ხარჯების                                       | -                                | (826)                        | (826)                    |
| კრედიტორული დავალიანების ზრდა  | 9,206                            | (7,232)                      | 1,974                    |
| მოკლევადიანი ინვესტიციები  | (32,700)                         | 33,409                       | 709                      |
| აქციების რეალიზაციით მიღებული<br>შემოსავალი                              | 8,460                            | 5,895                        | 14,355                   |
| კურსთაშორის სხვაობის გავლენა ფულსა<br>და ფულის ექვივალენტებზე            | 198                              | 3,520                        | 3,718                    |

### 24. ინფორმაცია კლიენტების რაოდენობასა და ტრანზაქციების მოცულობაზე

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სს „საბროკერო კომპანია კაუკასუს კაპიტალ ჯგუფის“ კლიენტების რაოდენობა შეადგენს 454-ს. 2018 წლის განმავლობაში სს „საბროკერო კომპანია კაუკასუს კაპიტალ ჯგუფის“ კლიენტების ტრანზაქციების ჯამურმა გარიგებების მოცულობამ შეადგინა:

- თანხობრივად - 9 293 008 ლარი;
- ფასიანი ქაღალდების მიხედვით - 2 404 292 ცალი.